საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არჯევანიძე ეთერ ნიკოლოზის ასული

ე. არჯევანიძე

არჯევანიძე ეთერ ნიკოლოზის ასული (19. V. 1919, თბილისი,– 9. XII. 2009, იქვე), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1988). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1941). 1947-იდან მუშაობს თბილ. ს.-ს ორბელიანის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში, 1977–82 იყო ამავე ინ-ტის ქართ. ლიტ-რის ისტ. კათედრის გამგე, 1982-იდან – ამავე კათედრის პროფესორი. იკვლევდა ქართ. ზეპირსიტყვიერებისა და ლიტ-რის ისტ. საკითხებს. პირველი სამეცნ. ნაშრომი „ა. ხახანაშვილი, როგორც ხალხური სიტყვიერების მკვლევარი“ გამოაქვეყნა 1950, პირველი წიგნი – «ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა» – 1965. ᲐᲐ-ის ძირითადი ნაშრომებია: «ანოტირებული ბიბლიოგრაფია ჟურნ.-ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა» (1971), „ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხი რევოლუციამდელი საქართველოს რუსულ პერიოდიკაში“ (1978), „ქართული ხალხური სიტყვიერება“ (1979), „აკაკი წერეთელი და ქართული ხალხური სიტყვიერება“ (1982) და სხვ.